პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი | № 198 (11809) | პარასკევი, 26 აგვისტო, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



შვილნო ლენინ ყოველთანენ

ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხანა ჩაის გადამუშავების ტექნოლოგიური მოწყობილობის ძირითადი მომწოდებელია რესპუბლიკის ჩაის ფაბრიკებისათვის. ჩაის გადასამუშავებელი მანქანები, რომლებსაც ეს საწარმო უშვებს, დიდი რაოდენობით იგზავნება უცხოეთის ქვეყნებშიც.

ამ ჟვირფასი მანქანების გამოშვების საქმეში ბევრმა ახალგაზრდამ ისახელა თავი. ამ ოთხი წლის წინათ საბჭოთა არმიიდან დაბრუნების შემდეგ ქარხნის მექანიკური საამქროში მოწაფედ მოვიდა ბესარიონ ხოფერია. მუყაითი ბიჭი მალე დაეუფლა ხარატის პროფესიას და მისი ნახელავი მუდამ მაღალ შეფასებას იღებს. ბესარიონი ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს. მან დიდი ხანია შეასრულა მიმდინარე წლის დავალება და პროდუქციას იძლევა 1961 წლის ანგარიშში. ბიჭითი ახალგაზრდა მუშაობასთან ერთად წარმატებით სწავლობს მოსკოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების მექანიზაციის ფაკულტეტის მეორე კურსზე.

 სურათზე: ბ. ხოფერია.

ფოტო ბ. დადვაძისა.

სტუმრად მეგობრებთან

რუსთავი. (საკ. კორ.). დიდი სტუმრიანობა აქვს ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივს. ქართველ მეტალურგებს ესტუმრნენ აზერბაიჯანელი და უკრაინელი მეგობრები — სუმგაითის ლენინის სახელობის მილსაგლინავი ქარხნის და სტალინის მეტალურგიული ქარხნის დელეგაციები.

აზერბაიჯანელ მეტალურგთა დელეგაციის შემადგენლობაში არიან კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი მირ-მამედ მამედოვი, მილსაგლინავი საამქროს უფროსი გამხურებელი იუსუფ ჰასანოვი, პარტენის საამქროს მეფოლადე ნიკოლოზ მახონი, ოპერატორი ბაირამ ბაირამოვი, ქარხნის პარტკომის მდივანი სარა რამაზანოვა და სხვები.

უკრაინელ მეტალურგთა დელეგაციას ხელმძღვანელობს ფურცელსაგლინავი საამქროს უფროსის მოადგილე მ. პოტაპოვი.

სტალინელმა და სუმგაითელმა მეგობრებმა დათვალიერეს ქარხნის საამქროები, პირადად გაეცნენ ქართველ მეტალურგებს ა. ფანცულაიას, ა. ძამაშვილს, დ. ძაგანიას, ა. ჯაჯანიძეს.

მეგობრებმა შეაჯამეს ერთმანეთთან სოციალისტური შეჯიბრების ნახევარი წლის შედეგები და იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებები.

ახალი წყალსადენი

ხობი. (საკ. კორ.). დღემდე ხობელები სუფთა სასმელ წყალს ნოსირის წყაროდან ღებულობდნენ. მაგრამ იგი მოსახლეობის მოთხოვნილებას მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა. ამიტომ ხობის ადგილობრივი მეურნეობის კომბინატმა ხობისწყლის ფილტრატის ბაზაზე ხუთი კილომეტრის მანძილიდან გაიყვანა წყალსადენი, რომლის დებიტი წამში შეადგენს 12 ლიტრს, და იგი მთლიანად აკმაყოფილებს რაიონის მოთხოვნილებას. სუფთა სასმელი წყალი მიიღო რაიონულ ცენტრში მცხოვრებმა 150 ოჯახმა. წყლით უზრუნველყოფილია საწარმოდაწესებულებები. სასმელი წყალი მიიღო აგრეთვე ახალსოფლის, გურფულის, ხორგის, შუახორგის და სხვა სოფლების მოსახლეობამ.

65 ათასი ტონა მწვანე მასა

წითელწყაროო. რაიონის კოლმეურნეობები დროულად შეუდგნენ პირუტყვისათვის სილოსის დამზადებას. წითელწყაროელებმა გადაწყვიტეს საშუალოდ ერთ ძროხაზე 15 ტონა სილოსი მოიმზადონ, სულ კი რაიონში 85.100 ტონა სილოსს დაამზადებენ. ამისათვის გამოჰყავს 9 ათასზე მეტი ჰექტარი სიმინდის ნათესი. სილოსის დიდი რაოდენობით დამზადებას ხელს უწყობს ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების კარგი მოსავლიანობა.

ტარიბანაში თუ მილარში, ივრის ხეობაში თუ ვაკის მინდვრებში, იქ, სადაც პირუტყვი გამოიზამთრებს, მაღალხარისხოვანი მწვანე მასით ივსება სასილოსე ორმოები და კოშკები. დღეისათვის რაიონში უკვე დასილოსებულია 65.638 ტონა მწვანე მასა.

მწვანე მასის დასილოსებაში თავი ისახელა წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის საკვებმომპოვებელმა ბრიგადამ, რომელმაც სასახელოდ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და 7.000 ტონამდე სილოსი დაამზადა. სილოსის ჩადების დავალებანი შეასრულეს სოფლების არხილოსკალოს და არბოშიკის კოლმეურნეობებმა.

სოფელ აწყურში

ახალციხე. (საკ. კორ.) დღითიდღე იცვლის სახეს, ლამაზდება და მშვენდება მესხეთის სოფელი აწყური. წელს აწყურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ საკუთარი სახსრებით ააგო ელექტროქვესადგური, გამართა ელექტროგადამცემი ხაზები და ილიჩის ნათურებმა გააჩირაღღნა სოფელი.

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველოგბამ რვა თვის გეგმა შეასრულა

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, შეასრულეს საერთო პროდუქციის გამოშვების, ძირითად სახეობათა ნაწარმისა და კოოპერირებულ მიწოდებათა რვა თვის გეგმა. გასული წლის შესაბამისი პერიოდის დონე გადაჭარბებულია 10 პროცენტით და მეტით.

გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ასობით ტონა თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, მილები, მარგანეცის მადანი, ფეროშენადნობი, ცემენტი, სატვირთო ავტომობილები, ტრაქტორები, ლითონსაჭრელი ჩარხები, ტექნოლოგიური მოწყობილობა კვების მრეწველობისათვის, ავეჯი, ფეხსაცმელი, რამდენიმე ათასი ტონა პირველადი დამუშავების ჩაი, რამდენიმე ასეული ათასი დეკალიტრი ღვინო, ხორცი, ყველი, მოუხდელი რძის პროდუქცია.

თვის დამლევამდე საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობა მოგვცემს რამდენიმე ასეული მილიონი მანეთის ზეგეგმით პროდუქციას. (საქდისი).

ჩვენი რესპუბლიკის დღე

გუშინ ჩაის კლანტაციებში

◆ **ბათუმი.** დღეისათვის რაიონში სულ მოკრეფილია და საბელმწიფოს ჩაბარდა 5.862 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. სოფელ ფერიეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე **ნაზი ბალაძემ**, რომელმაც ჩაის კრეფის ნაკისრი ვალდებულება უკვე შეასრულა, გუშინ 40 კილოგრამი ჩაი მოკრიფა. **ნაზი ბარამიძემ** სოფელ გონიოს კოლმეურნეობაში — 50 კილოგრამი, სოფელ კირნათის კოლმეურნეობის მეჩაიე **ს. ლაკაკანიძემ** — 35 კილოგრამი.

◆ **ფალენჯიხა.** ჩაის ნედლეულის დამზადების წლიური გეგმა რაიონში პირველმა შეასრულა სოფელ ლიის კოლმეურნეობამ, ამ კოლმეურნეობის მეჩაიეებმა იკისრეს გეგმის გადამეტებით 100 ტონა ფოთოლი მოკრიფონ. ვალდებულების ანგარიშში მოკრეფილია 20 ტონა.

ლიის კოლმეურნეობის მეჩაიე **სულიკო სამუშიამ** 0,4 ჰექტარ პლანტაციაზე ვალდებულებით გათვალისწინებული 4 ტონის ნაცვლად მოკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარა 7 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, ხოლო გუშინ მან მოკრიფა 60 კილოგრამი, **ეთერ ფიფიამ** — 57, **ნიურა ფიფიამ** — 52.

სოფელ ჯგალის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში **კოკო კვარაცხელიამ** სასახელოდ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, წარმოებას გეგმის გადამეტებით 3 ტონა ჩაის ნედლეული ჩაბარა და დამატებით 500 კილოგრამის მოკრეფა იკისრა. მან გუშინ მოკრიფა 50 კილოგრამი. სოფელ ნაკიფუს კოლმეურნეობის მეჩაიემ რაისაბჭოს დეპუტატმა **ფოთო ჭანიამ** ნაკისრი ვალდებულების გადამეტებით 2 ტონა ჩაი მისცა ქვეყანას და დამატებით 800 კილოგრამის მოკრეფა იკისრა. იგი ყოველდღიურად 50-60 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს.

ვალდებულება შესრულებულია

კასპი. (საკ. კორ.). წელს ხილის კარგი მოსავალი აქვთ კასპის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. კარგა ხანია შემოვიდა კურკოვანი ხილი. რაიკოოპკავშირის დამზადების კანტორა შეუფერხებლად აწარმოებს ხილის შესყიდვას. უკვე შესყიდულია 7.500 ცენტნერი კურკოვანი ხილი. ეს ორჯერ აღემატება წლიურ გეგმას და 1.500 ცენტნერით მეტია ნაკისრ ვალდებულებაზე.

სახელმწიფოს დიდი რაოდენობით მიჰყიდეს ხილი სოფლების კოდისწყაროს, ქვემო ჭალის, მეტეხის, კავთისხევის, წინარეხის, სამთავისის, ნიქოზის, ქვემო გომის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა. ხილის დამზადება წარმატებით გრძელდება.

სიახლე

რადიომართული ტრაქტორები მინდვრად გაიყვანეს

სტალინგრადი, 24 აგვისტო. (საკდესი). სტალინგრადის ტრაქტორის ქარხანამ გამოუშვა რადიომართული მუხლუხა ტრაქტორების პირველი საცდელი პარტია, რომლებსაც აქვთ ი. გ. ლოგინოვის კოპირი.

მინდორში ორ მანქანას ერთი კაცი მართავს. მის წინ ტრაქტორის კაბინაში არის მინიატიურული გადამცემი. იგი სულ ბევრი ორ კილოგრამს იწონის. გადამცემზე არის ექვსი ღილაკი, რომლებითაც განკარგულება გადაეცემა ტრაქტორს, რომელიც უადამიანოდ მიდის წინ ამ მეტრამდე მანძილზე. ტრაქტორისტს შეუძლია ღილაკების დაჭერით მოაბრუნოს მეორე მანქანა მარჯვნივ, მარცხნივ, მეტი ან ნაკლები სიწვავი მისცეს ძრავას, უფრო ღრმად ან ზერელედ მოხნას.

წინა ტრაქტორზე დგას ნახევარგამტარის პატარა მიმღები. იგი იღებს სიგნალებს პირველი ტრაქტორიდან, აძლიერებს მათ, გადასცემს ელექტროსქემას, ხოლო იგი დაკავშირებულია ჰიდრავლიკურ სისტემასთან, და მანქანა სწრაფად და მორჩილად აკეთებს, რასაც რადიოთი უბრძანებენ.

როცა საჭიროა ტრაქტორის გაჩერება, მძღოლი გამორთავს მიმღებს. თუ წინა ტრაქტორი დათქმულზე მეტად მოშორდა მეორეს, იგი ავტომატურად გაჩერდება და დაელოდება კვალში თავისი „მეწყვილის" მიახლოებას. შემდეგ კი ავტომატურადვე ჩაერთვის და კვლავ წინ მიდის.

გათვალისწინებულია საავარიო დაცვის სისტემა: ზედმეტი გახურების, ზეთის წნევის დაკლების დროს ძრავა ავტომატურად წყვეტს მუშაობას. კვლიდან კოპირის გამოსვლისას ტრაქტორი აგრეთვე ჩერდება.

რადიომართული ტრაქტორი გადაკეთებული „დტ-54" ტრაქტორია. იქ დგას ახალი ელექტროსქემა, ჰიდრავლიკა, კოპირი, მუხრუჭთა ბლოკირება, რადიოაპარატურა.

ექვსმა მანქანამ წარმატებით გაიარა საჭარხნო გამოცდა. ისინი ხნავდნენ ოთხკორპუსიანი კიდული გუთნებით. ერთი კაცი ადვილად ამუშავებდა ორ ტრაქტორს. ახლა ეს პირველი ექვსი მანქანა მომზადებულია იმისათვის, რომ გაიგზავნოს ყაზახეთის სსრ „პაველოდარის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ოკტიაბრსკში" უფრო ხანგრძლივი გამოცდისათვის. მთავრდება ასეთი ტრაქტორების მეორე პარტიის დამზადება. მათ გამოსაცდელად გაგზავნიან როსტოვის ოლქში.

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მესანიშნავი მიღწევა

პრეს-კონფერენცია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში

24 აგვისტოს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის კონფერენც-დარბაზში შეიკრიბნენ საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები. აქ გაიმართა პრეს-კონფერენცია. იგი მიეძღვნა მეორე კოსმოსური თანამგზავრი ხომალდის გაფრენას, რომელშიც იყვნენ საცდელი ცხოველები. ჟურნალისტებს შეხვდნენ საბჭოთა მეცნიერების თვალსაჩინო მოღვაწეები.

გახსნა რა პრეს-კონფერენცია, აკადემიკოსმა ა. ვ. ტოპჩიევმა თქვა:

— ნება მიბოძეთ გავხსნა ჩვენი პრეს-კონფერენცია, რომელიც ეძღვნება საბჭოთა მეცნიერების, საბჭოთა ტექნიკის, მთელი საბჭოთა ხალხის ახალ შესანიშნავ წარმატებას კოსმოსური სივრცის დაუფლებაში, კოსმოსში და სხვა ციურ სხეულებზე ადამიანის გაფრენის მომზადებაში.

19 აგვისტოს, — განაგრძო აკადემიკოსმა, — ვეებერთელა კოსმოსურმა ხომალდმა სამყაროში წაიყვანა ორი ძაღლი და სხვა ცოცხალ არსებათა მთელი კოლონა, და 20 აგვისტოს ეს ცოცხალი არსებანი მშვიდობით დაბრუნდნენ დედამიწაზე.

მეცნიერმა მოაგონა დამსწრეთ, რომ სამ წელიწადზე ნაკლები დრო გავიდა იმ შესანიშნავი დღიდან, როცა საბჭოთა კავშირმა 1957 წლის 4 ოქტომბერს დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაშვებით დაიწყო კოსმოსის დაპყრობის ერა. შემდეგ მეცნიერმა დაასახელა საპლანეტათშორისო სივრცეში ადამიანის შესანიშნავი გზის მთავარი ეტაპები. 1957 წლის 3 ნოემბერს გაშვებულ იქნა მეორე საბჭოთა თანამგზავრი, 1958 წლის 15 მაისს — მესამე, 1959 წლის 2 იანვარს გაჩნდა მზის პირველი ხელოვნური თანამგზავრი, 12 სექტემბერს მთვარეზე მიტანილ იქნა ალამი საბჭოთა კავშირის გერბით, იმავე წლის 4 ოქტომბერს პირველმა საპლანეტათშორისო ავტომატურმა სადგურმა გადაიღო მთვარის მეორე მხარის ფოტოსურათი, მიმდინარე წლის 15 მაისს გაშვებულ იქნა პირველი კოსმოსური ხომალდი. და დღეს, ამბობს აკადემიკოსი ტოპჩიევი, ჩვენ აღვნიშნავთ ახალ გრანდიოზულ მიღწევას კოსმოსის ათვისებაში.

ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენი ცოდნა სამყაროს შესახებ განუზომლად გაიზარდა. საბჭოთა კავშირის წარმატებანი კოსმოსური სივრცის კვლევაში აოცებენ მთელ მსოფლიოს. მეგობრები აღტაცებით ლაპარაკობენ საბჭოთა კავშირის მიღწევებზე, მტრები — შურით.

საბჭოთა ადამიანები, განაცხადა აკადემიკოსმა, განსაკუთრებით ამაყობენ იმით, რომ ჩვენ მიერ კოსმოსური სივრცის კვლევა მხოლოდ მშვიდობიან მიზნებს ისახავს. ჩვენ ვმუშაობთ მხოლოდ მეცნიერებისათვის. ჩვენი კოსმოსური ხომალდების ფრენის პროგრამაში არ შედის დაზვერვის მიზნები, მიმართული სხვა ქვეყნების საზიანოდ. ჩვენი თანამგზავრები არიან არა მზვერავები, არამედ სამეცნიერო ლაბორატორიები, რომელთა მოწოდებაა კოსმოსური სივრცის შესწავლა.

დაახასიათა რა მეორე საბჭოთა კოსმოსური ხომალდის ისტორიული ფრენის წინასწარი შედეგები, აკადემიკოსმა ტოპჩიევმა თქვა:

— უწინარეს ყოვლისა, ეს ამტკიცებს, რომ შესაძლებელია ცოცხალი ორგანიზმების უსაშიშრო ფრენა კოსმოსურ სივრცეში და მათი დაბრუნება დედამიწაზე. პირველი კოსმონავტები გადაეცით მეცნიერებს. ისინი, ასე ვთქვათ, „გვიამბობენ", რა უნდა გაკეთდეს კიდევ, რომ ახლო მომავალში კოსმოსური ხომალდის მგზავრი გახდეს ადამიანი. ეს ჩვენი მიზანია და იგი მიღწეულ იქნება.

ჩვენ წარვუდგენთ, — თქვა აკადემიკოსმა ტოპჩიევმა, — მთელი მსოფლიოს მეცნიერებს მეცნიერული კვლევის შედეგებს, რომლებიც მივიღეთ მეორე კოსმოსური ხომალდის ფრენის დროს. სწორედ ეს არის მშვიდობიანი საბჭოთა მეცნიერების კეთილშობილური მიზანი, მეცნიერებისა, რომელიც ემსახურება მხოლოდ მშვიდობასა და მთელი კაცობრიობის ბედნიერებას.

შემდეგ სიტყვა მიეცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანს აკადემიკოს ნ. მ. სისაკიანს.

— ვფიქრობ, დამეთანხმებით, — თქვა მან, მიმართა რა დამსწრეთ, — რომ მეცნიერებაში არის მოვლენები, რომლებიც მოსასწავლებენ მთელ ეპოქას მის განვითარებაში. ასეთი მოვლენაა მეორე კოსმოსური ხომალდის გაშვება და მისი მშვიდობით დაბრუნება დედამიწაზე. ეს შესანიშნავი მიღწევაა.

შემდეგ აკადემიკოსმა თქვა, რომ გაფრენის ბიოლოგიური პროგრამის შედგენას საფუძვლად დაედო ევოლუციური მიდგომა ობიექტების შერჩევისადმი — დაწყებული უმარტივესი ცოცხალი არსებებით და გათავებული რთული ორგანიზმებით.

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ვ. ვ. პარინმა თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბიოლოგები და მედიკოსები, რომლებიც საცდელ ცხოველებსა და მცენარეებს ამზადებდნენ კოსმოსში საფრენად, ცდილობდნენ რაც შეიძლება სრულად გამოეყენებინათ მათ განკარგულებაში არსებული კონტეინერის ფართობი. ამის გამო კონტეინერი ცხოველებიანად წარმოადგენდა თავისებურ „ნოეს კიდობანს".

ძაღლები ფრენისათვის იმიტომ ავირჩიეთ, თქვა ვ. ვ. პარინმა, რომ ისინი ტრადიციული ლაბორატორიული ცხოველები არიან. აკადემიკოსი ი. პ. პავლოვი ერთ დროს ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად ამბობდა, რომ ძაღლმა ადამიანი ხალხში გამოიყვანა, ახლა კი შეიძლება ითქვას, რომ ძაღლს ადამიანი კოსმოსში გაყავს.

რაც შეიძლება მეტი ცხოველი რომ მოეთავსებინათ კონტეინერში, მეცნიერები შეჩერდნენ მცირე წონის ძაღლებზე. რამდენადაც დედამიწაზე ტელევიზიით გადმოიცემოდა მათი გამოსახულება, მეტი კონტრასტისათვის არჩეულ იქნა თეთრი ფერის ცხოველები.

ამ დროს დარბაზს არაჩვეულებრივი გამოცოცხლება დაეტყო. შემოიყვანეს კოსმოსში მოგზაურობის პირველი მონაწილენი „სტრელკა" და „ბელკა".

კოსმოსში გაფრენისათვის ცხოველთა მომზადების პერიოდში შესრულებულ დიდ და რთულ მუშაობაზე უამბო ჟურნალისტებს ო. გ. გაზენკომ. მან უჩვენა „ბელკა" და „სტრელკა" კორესპონდენტებს, სამართლიანად აღნიშნა რა, რომ ცხოველთა გარეგანი შესახედაობა სიტყვებზე უფრო მკვრმეტყველურად მოწმობს მათ ჩინებულ მდგომარეობას. ჟურნალისტებს უჩვენეს აგრეთვე სხვა „კოსმოსური მოგზაურები".

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ს. ნ. ვერნოვმა ილაპარაკა იმაზე, რომ მეორე საბჭოთა კოსმოსური თანამგზავრი ხომალდის ფრენის დროს განხორციელდა კოსმოსურ სივრცეში არსებულ გამოსხივებათა მრავალი მეცნიერული გამოკვლევა; მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ დედამიწა-კოსმოსი-დედამიწის მარშრუტით ფრენის განხორციელებამ საშუალება მოგვცა მიგვეღო კოსმოსური სივრცეში ამ პროცესთა ფოტოსურათები, რომლებიც მიკროსამყაროში ხდება. ახლა მიმდინარეობს ამ ფოტოსურათების დამუშავება და დეტალურად შესწავლა ლაბორატორიაში.

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ლ. ვ. კურნოსოვამ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ მეორე კოსმოსურმა თანამგზავრმა ხომალდმა საშუალება მოგვცა მოგვეწყო სხვადასხვა ქიმიური ელემენტის ატომგულთა სპექტრის რეგისტრაციის რთული ცდა.

თავის გამოსვლაში მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ი. ს. შკლოვსკიმ ილაპარაკა მზის მოკლეტალღოვანი რადიაციის გამოკვლევაზე მეორე საბჭოთა კოსმოსური თანამგზავრი ხომალდის ფრენის დროს.

პრეს-კონფერენციის მონაწილეებმა მისცეს მთელი რიგი შეკითხვები, ერთი მათგანი შეეხებოდა ეიზენჰაუერის განცხადებას იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოს ყველა ქვეყანაზე წინ არიან კოსმოსის კვლევაში. აკადემიკოსმა ა. ვ. ტოპჩიევმა განაცხადა, რომ ახლა მთელი მსოფლიო ხედავს, რომ სსრ კავშირი ამ მხრივ წინ არის. ცხოველებიანი კონტეინერის დედამიწაზე დაშვება კოსმოსში ადამიანის გაფრენის უშუალო წინამორბედია.

ერთ-ერთმა კორესპონდენტმა მოიყვანა ინგლისელი მეცნიერის განცხადება იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირს შეუძლია გაგზავნოს ადამიანი კოსმოსში ყოველ დროს. შესაძლებელია, უახლოეს თვეებში. უპასუხა რა ამაზე, აკადემიკოსმა ა. ვ. ტოპჩიევმა თქვა, რომ საბჭოთა მეცნიერების აზრით, საჭიროა კოსმოსური ხომალდის ყველა სისტემის შემდგომი ექსპერიმენტული დამუშავება მანამდე, სანამ არ შეიქმნება ადამიანის გაფრენისა და მისი დაბრუნების სრული უსაშიშრობის რწმენა.

პასუხად კითხვაზე, საჭიროა თუ არა კოსმოსური ხომალდით მაიმუნის გაგზავნა ადამიანის გაფრენამდე, ვ. ვ. პარინმა თქვა, რომ ასეთი ექსპერიმენტის აბსოლუტური აუცილებლობა არ არის.

კითხვაზე, თუ რამდენად შეუფერხებლად მიმდინარეობდა კოსმოსური ხომალდის დედამიწაზე დაშვება, აკადემიკოსმა ა. ვ. ტოპჩიევმა უპასუხა, რომ დაშვების ხიზუსტე არაჩვეულებრივი იყო.

სურათებზე: ზეკით — ბელკას პარველი რადიოინტერვიუ, ქვემოთ (მარცხნიდან მარჯვნივ) — კოსმოსში ნამყოფი ძაღლები სტრელკა და ბელკა.

ახლოვდება რთველი, მევენახეებო!

სიმწიფეში შედის ყურძენი. არ გაივლის დიდი დრო და ბარაქით სავსე ზვრები ახმიანდება, გაჩაღდება რთველი.

საქართველოს მევენახეებმა წელს დიდი ვალდებულება იკისრეს — სახელმწიფოს უნდა მიჰყიდონ 170 ათასი ტონა ყურძენი — გასულ წელთან შედარებით 37 ათასი ტონით მეტი.

ეს მეტად სერიოზული და დიდი საპასუხისმგებლო ვალდებულებაა.

მართალია, წელს მევენახეობის ზოგიერთ რაიონში მეტად არახელსაყრელი ამინდებია ვაზისათვის, მაგრამ რესპუბლიკაში ყურძენს მაინც კარგი პირი უჩანს, სახლა ამოცანა ის არის, რომ ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ რთველს, არ დავკარგოთ არც ერთი კილოგრამი ყურძენი, მთელი მოსავალი ავიღოთ და გადავამუშაოთ ისე, რომ დედა-სამშობლოს მივცეთ ჩვენი ქვეყნისათვის ესოდენ დამახასიათებელი პირველხარისხოვანი პროდუქცია.

მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი მევენახე-მეღვინეები ყველგან ერთნაირი მონდომებით ემზადებიან რთველისათვის, მაგალითად, თუ გურჯაანის, მუკუზნის, წინანდლის, მაიაკოვსკის, ამბროლაურის ღვინის ქარხნები შარშანდელთან შედარებით მომზადებულნი ხვდებიან რთველს, სამაგიეროდ, მეორე სეირის ღვინის ქარხანას ჯერ კიდევ საჭირო რაოდენობით არა აქვს ტუმბოები, საზანოს ღვინის ქარხანას აკლია წნეხები, ვაჭევის ქარხანაში აკლია კასრები და ა. შ.

მევენახეობა-მეღვინეობაში რთველი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროცესია. მის ორგანიზებულად ჩატარებაზე დიდად არის დამოკიდებული არა მარტო პროდუქციის ხარისხი, ამამედ თვით ყურძნის გამოსავლიანობაც. გამოცდილი მევენახეები ყურძნის კრეფას ყველა ნაკვეთში ერთდროულად, ხელაღებით როდი იწყებენ. იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას კარგი გამოსავლიანობა და ხარისხი, საჭიროა რთველის დაწყებადე ზვრებში სისტემატურად ეწყობოდეს ყურძნის შაქრიანობის შემოწმება-განსაზღვრა. მხოლოდ ტექნიკური სიმწიფის დადგენის შემდეგ უნდა დაიკრიფოს ყურძენი და დაუყოვნებლივ გადამუშავდეს.

წელს სამტრესტმა 163 ათასი ტონა ყურძენი უნდა მიიღოს და გადაამუშაოს. ეს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ტრესტის სისტემაში შემავალი ღვინის ქარხნების, მარნების, ყურძნის მიმღები და გადამამუშავებელი პუნქტების მუშაკებს. ყურძნის მიღება-გადამუშავება ისე უნდა მოეწყოს, რომ საბჭოთა მეურნეობების თუ კოლმეურნეობების ზვრებიდან მოტანილი ყურძენი დიდხანს არ დარჩეს მიუღებელი ღია ცის ქვეშ, როგორც ეს ზოგან წინა წლებში ხდებოდა.

ამ საქმეში, როგორც ყოველთვის, ახლაც, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებს დიდი მოვალეობა ეკისრებათ. მათ ისე უნდა მოაწყონ შრომა მევენახეობა-მეღვინეობის ყველა უბანზე, რომ როველი შეუფერხებლად, შემჭიდროებულ ვადებში და მაღალ სამეურნეო დონეზე ჩატარდეს.

ამხანაგო მევენახე-მეღვინეებო! თქვენი ღირსების საქმეა ყოველმხრივ მომზადებული შეხვდეთ რთველს, თავის დროზე და უდანაკარგოდ აიღოთ შვიდწლედის მეორე წლის ყურძნის მოსავალი, გაახაროთ დედა-სამშობლო ყურძნის უხვი მოსავლით, მისი პირველხარისხოვანი პროდუქციით!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენ ძლიერ ბედნიერი და ამაყი ვართ გაცნობოთ აღტაცების გრძნობები, რომლებსაც ჩვენი ხალხი განიცდის იმ უდიდეს გმირობასთან დაკავშირებით, რაც ახლახან ჩაიდინა თქვენმა ქვეყანამ, რომელმაც განახორციელა დედამიწაზე მოცემულ პუნქტში გარკვეულ დროს დედამიწის თანამგზავრიდან ცოცხალ არსებათა დაბრუნება მვიდასი ათასი კილომეტრი სიგრძის ფრენის შემდეგ.

ეს შესანიშნავი გამარჯვება კოსმოსის ათვისებაში მთელ მსოფლიოს უჩვენებს ადამიანის პროგრესის განუსაზღვრელ პერსპექტივებს საზოგადოებაში, სადაც უკვე გაიმარჯვა სოციალიზმმა და სადაც მტკიცედ შენდება კომუნიზმი.

ჩვენს დიდ მადლობას ვუძღვნით საბჭოთა მეცნიერებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მუშებს, რომლებმაც ეს უმაგალითო წარმატება მოიპოვეს.

ეს ახალი უდიდესი გამარჯვება სოციალიზმის ბანაკის უპირატესობასთან ერთად აძლიერებს ბრძოლის ეფექტიანობას მშვიდობისათვის. მსოფლიოსათვის, რომელშიც არ იქნება ომები და მეცნიერების შესანიშნავი აღმოჩენები სამსახურს გაუწევენ მხოლოდ ადამიანის ბედნიერებას.

გითვლით თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენი ქვეყნის ყველა კომუნისტისა და ყველა ფრანგის სახელით, რომლებიც იცავენ პროგრესსა და მშვიდობას, ჩვენს ენთუზიაზმით აღსავსე მოლოცვას და ჩვენს უაღრესად მხურვალე მადლობას.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ 1960 წლის 25 აგვისტოს ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხანაგი **ფაზილ კარიბჯანოვი** — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი | **სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი**

ყური დაუგდეთ, მომხმარებელი მოითხოვს...

ელექტროუთო — უკვდავების წყარო

*

პალტო გნებავთ? მოითმინეთ ზაფხულამდე

*

საფრთხოგელა კაგეგი

*

რპინა ოქრო როდია!

მყიდველი ეძებს საქონელს

მაღაზიებში ერთი შეხედვით თითქოს ყველაფერია, გიხილავთ ვიტრინებსა და თაროებზე გამოფენილი მრავალნაირი ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, კულტურული და საოჯახო საქონელი, ქსოვილები, ფარჩეული. მაგრამ ის საქონელი, რომელიც ოქვენ გსურთ შეიძინოთ, თითქოს ჯიბრზე არ არის.

— ელექტროუთოები გაქვთ?

— არა.

— სარეცხი მანქანები?

— არა.

— ჩითი?

— არა.

— ბავშის პერანგები?

— არა.

— სად შეიძლება ვიშოვოთ?

გამყიდველი მხრებს იჩეჩს: — ვერ გეტყვით.

ამბობენ, ვინც ეძებს, ის იპოვისო. მაგრამ ეს ყოველთვის როდია გამართლებული. სანთლით რომ ეძებოთ, ვერც ერთ მაღაზიაში ვერ იპოვით ზემოჩამოთვლილ და ბევრ სხვა აუცილებელ ფართო მოხმარების საქონელს.

პირდაპირ უცნაურია: ახლა, როცა ჩვენი მრეწველობა და ტექნიკა ასე სწრაფად მიდის წინ, მოუგვარებელი გვქონდეს ისეთი „წვრილმანები", როგორიც არის ფართო მოხმარების ზოგიერთი საქონლის წარმოება.

მერე ვინ არის ამაში დამნაშავე? ამ საბის პროდუქციის დამამზადებელი საწარმოები და მათი ხელმძღვანელები, რომლებიც ინგარიშს არ უწევენ მომხმარებლის ინტერესებს,

დამტკიცებული გეგმით **თბილისის** ქარხანა „ელექტროგამშვებს" (დირექტორი გ. დევდარიანი) საავჭრო ქსელისთვის პირველ კვარტალშივე უნდა მიეწოდებინა ელექტროუთოები, მაგრამ საწარმოში გაჟიანურეს პროდუქციის ათვისება და ეძვნ თვეში საავჭრო ორგანიზაციებს მხოლოდ 7.000 უთო მიაწოდეს, რაც წლიური გეგმის 11,8 პროცენტს შეადგენს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ქარხანა „ელექტროგამშვები" აწარმოებს მსუბუქ და მცირე გაბარიტის სამგზავრო ელექტროუთოებს.

საავჭრო ქსელისათვის კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონლის გეგმის შეესრულებლობით განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი **ბათუმის** სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა. ელექტროტექნიკურმა ქარხანამ (დირექტორი ა. ბერძე) საავჭრო ორგანიზაციებისათვის სარეცხი მანქანების მიწოდების წლიური გეგმა ექვს თვეში მხოლოდ 5.64 პროცენტით შეასრულა. საავჭრო ორგანიზაციებმა კი, რომლებსაც იმედი ჰქონდათ, რომ ელექტროტექნიკური ქარხნის კოლექტივი გეგმას შეასრულებდა, თავი შეიკავეს სხვა ეკონომიური რაიონებიდან სარეცხი მანქანების შემოზიდვისგან. ამის შემდეგ გასაკვირი არაა, რატომ არ იშოვება მაღაზიებში სარეცხი მანქანები.

კურორტებად მიიყვანეს სამეგ **ბათუმის** ელექტროხელსაწყოთა ქარხნის (დირექტორი შ. ჭილაია) ხელმძღვანელებმა, რომლებმაც ელექტრომტვერსასუფტები და ვენტილატორები რესპუბლიკაში ნამდვილად დეფიციტური საქონელი გახადეს. დამტკიცებული გეგმით წელს ამ საწარმომ სარეალიზაციოდ უნდა მიაწოდოს 15 ათასი ვენტილატორი და 9.150 მტვერსასუფტი, მაგრამ დღემდე გასაყიდი ვენტილატორებისა და მტვერსასუფტების კონსტრუქციები და ტიპები დადგენილიც კი არ არის.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღგილობრივი მრეწველობის სამმართველოს საწარმოებმა ვერ უზრუნველყვეს მთელი რიგი ისეთი საჭირო საქონლის გამოშვება, როგორიც არის ნახევარეთილენის ონკანები, კარისა და ფანჯრის სახელურები, კაბრონის, რკინა-კაბეულის ნაწარმი, ახალი ნიმუშის ბავშვის საწოლები, ალუმინის აბაზანები ჩვილი ბავშვებისათვის.

ნახევარეთილენისაგან ბევრი საყოფაცხოვრებო-სამეურნეო დანიშნულების საქონლის დამზადების შესაძლებლობა აქვს **სოხუმის** ქალაქის სამრეწველო კომბინატის პლასტმასის საამქროს, რომელიც ამჟამად მხოლოდ ქალის ხელჩანთებს უშვებს. მცირე რაოდენობით გამოდის ტიფები, საოჯახო კოვზები, ტოლჩები, დიდი მოცულობის ქვაბები, ბაბრები. რესპუბლიკის საწარმოები სრულებით არ ამზადებენ ჩაიდნებსა და ყავადნებს. ყველაფერი ეს უარყოფითად მოქმედებს ფართო მოხმარების საქონლით მშრომელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე. ამიტომაა, რომ ზშირად მომხმარებელი უკმაყოფილო გამოდის მაღაზიიდან.

ეკლიანი მავთული

რესპუბლიკის მშრომელები კანონიერად ამაყობენ იმით, რომ საქართველოს სამრეწველო საწარმოებში დამზადებული პროდუქცია გადის საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებშიც. მაგრამ ორც ის კარგი ისე გასცე, რომ საკუთარ ბეღელში ერთი მარცვალიც არ დაიტოვო. მით უმეტეს, თუ აუცილებლად გჭირდება.

ჩვენ აქ რამდენიმე ფაქტს მოვიყვანთ და თვითონვე განსაჯეთ.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველო ძვირფასი ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების მხარეა. ამ კულტურების პლანტაციებს, რომლებსაც ათეულ ათასობით ჰექტარი ფართობი უჭირავს, მოვლა, შემოღობვა ესაჭიროება. შემოღობვისთვის მეტად ხელსაყრელი და ეკონომიურია ეკლიანი მავთული. მას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმომადგენლები, კლუბები ცხრა მთას იქიდან ეზიდებიან, მაშინ როცა ამ პროდუქციას აქვე, ყურისძირში აშზადებენ — **ბათუმის** სარემონტო-მექანიკური ქარხანაში. საქმე ის არის, რომ ბათუმის სარემონტო-მექანიკური ქარხანა (დირექტორი შ. ცაცხლაძე), რომელიც ნედლეულის სხვა ეკონომიური რაიონებიდან იღებს, მზა პროდუქციას განრიგით რუსეთის სხვადასხვა რაიონში გზავნის, საქართველოში სარეალიზაციოდ კი ერთი მეტრი მავთულიც არ არის გამოყოფილი.

მეორე ფაქტი. ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატი (დირექტორი გ. დალაქიშვილი) დიდი რაოდენობით უშვებს მამაკაცის ორმოცმანეთიან სახაფხულო ფეხსაცმელს, ლიმიტირებული ტყავის ზედაპირით. ეს ფეხსაცმელი ლამაზი, გამძლე, მოხერხებული, იაფია და მომხმარებელთა დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს. მაგრამ ფეხსაცმელი მთლიანად რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გადის. თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ სავაჭრო ორგანიზაციებს, რომლებსაც საქონლის დამოუკიდებელი შესყიდვის უფლება აქვთ, სწორედ ეს საქონელი მოსკოვის და ტულის სავაჭრო ბაზებიდან სარეალიზაციოდ უკანვე საქართველოში ჩამოაქვთ.

განა ნორმალურია ის, რომ **ბათუმის** მომთუთიებელი ქარხანა (დირექტორი გ. ებრაელიძე) უშვებს ვედროებს, ტაშტებს და სხვა ჭურჭელს, რომელიც მომხმარებელთა მოთხოვნილებით არ სარგებლობს? სავაჭრო ორგანიზაციები მოითხოვენ, რომ საწარმომ შეწყვიტოს ამ ჭურჭლის გამოშვება და მის ნაცვლად გაზარდოს მოთუთიებული თუნუქის სახურავის წარმოება, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა. ქარხანის შესაძლებლობა აქვს ეს გააკეთოს, მაგრამ ვერ იქნა და ვერ გადადგა გადამჭრელი ნაბიჯი. იქნებ ეს სახიანო იყოს სახელმწიფოს ინტერესებისათვის? სრულიადაც არა, პირიქით, ამ ღონისძიების განხორციელება გაადიდებს წარმოების მოცულობას, ხელს შეუწყობს მომხმარებელთა მოთხოვნილების უკეთ დაკმაყოფილებას. მაშ რაღას ვუცდით, რატომ თავს არ მოვაბამთ ამ საქმეს?

თბილისის ტყავ-საგალანტერიო ფაბრიკა (დირექტორი გ. პაქსაშვილი) წელიწადში ქალისა და მამაკაცის 13 ათას წყვილ ხელთათმანს უშვებს, მაშინ როცა ამ საქონელზე მომხმარებელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისთვის ამაზე 10-ჯერ მეტი მაინც არის საჭირო. აქ ასევე მცირე რაოდენობით ამზადებენ საქაღალდეებს ხელოვნური ზამშისაგან. ამ რამდენიმე ხნის წინათ ხელთათმანის გამოშვება დაიწყო ქუთაისის სამრეწველო კომბინატის საგალანტერიო წარმოებამ (დირექტორი დ. სახანძარიძე), მაგრამ შუა გზაზე მიატოვა. ამჟამად ამ პროდუქციის დამამზადებელი საამქრო არ მუშაობს.

რესპუბლიკაში დიდი მოთხოვნილებაა ტანსაცმლის, ფეხსაცმლის ჯაგრისებზე. საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების სოღანლუღის სასწავლო-საწარმოო წარმოებას, რომელიც ჯაგრისის ნაწარმის ერთ-ერთი ძირითადი დამამზადებელია, წლიურად დაგეგმილი აქვს გამოუშვას 400 ათასი მანეთის პროდუქცია, მოთხოვნილების დაკმაყოფილებისთვის კი დაახლოებით 3 მილიონი მანეთის საქონელი მაინც არის საჭირო.

როგორც ვხედავთ, ბევრ საჭირო საქონელს სათანადო რაოდენობით ვერ ვაწარმოებთ, ხოლო ზოგიერთ ისეთ პროდუქციას კი, რომელსაც მომხმარებელი სათოფედ არ ეკარება, ქარბი რაოდენობით ვუშვებთ.

სავაჭრო ქსელში ჩაწვა **ქუთაისის** მატუდის ფაბრიკის (დირექტორი ა. იმედაძე) საპალტოე ქსოვილი არტიკული 54176. საავჭრო ორგანიზაციების წინადადებით ფაბრიკაში შეიმუშავეს 45213 და 45124 არტიკულის უხეში შალისა და შტაპელნარევი საპალტოე ქსოვილი, მაგრამ ისიც მისი წინაპარივით დაბალხარისხოვანი გამოდგა.

დღეს მომხმარებელთა გემოვნება იმდენად მაღალია, რომ მათ თვალს ვერ აუხვევ, რაინას ოქროდ ვერ გაასაღებ.

ფეხზედოლაგიანი გავშვეგი

ბავშვებს სკერთ წაკითხული ან გაგონილი. მათ ეკვი არ ეპარებათ იმაში, რომ შეიძლება არსებობდეს ზღაპრული ცაცი, რომელსაც ფეხზე წისქვილის ქვები აქვს შებმული და მაინც ისე სწრაფად დარბის, რომ კურდღელს იკეცს.

ბავშვებისათვის ამ რწმენის განმტკიცებაში ცოტა დამსახურება როდი მიუძღვის **ქუთაისის** ტყავფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივს. ამ საწარმოს მიერ გამოშვებული რეზინისძირიანი ფეხსაცმელი, ზუსტად 1 კილოგრამს იწონის. ბავშვები ასე სჯიან: თუ ჩვენ კილოგრამიან ფეხსაცმელს ვატარებთ, რა გასაკვირველია, დიდი ცაცი წისქვილის ქვებით დარბოდესო.

— მძიმეა, ძალიან მძიმეა, — უხერხულად იშმუშნება ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის დირექტორი გ. დალაქიშვილი, — მაგრამ რა გიწყობა. ჩვენ სამდურავს ვერ გვეტყვიან, ტექნიკურ პირობებს ხომ არ ვარღვევთ.

განა შეიძლება ასე მეტადგინთნურად, უდარდელად ვუდგებოდეთ ტექნიკური პირობების აბანს? ვფიქრობთ, რომ არა.

საქმეს კი შეიძლება იოლად შემოვეღოს, თუ ბავშვის ფეხსაცმლის წარმოებაში გამოვიყენებთ „პროგრესის" ტიპის რეზინს, რომელიც ორჯერ მსუბუქია, ამასთან აქვს პაერგამტარი ფორები.

ტექნიკურ პირობებს თითქოს არც **ბათუმის** ავეჯის ფაბრიკაში (დირექტორი გ. კოპლატაძე) არღვევენ, მაგრამ ბევრი სახის აქაური ავეჯი შეხედვისთანავე აფრთხობს მომხმარებელს. საწარმო უშვებს ძვირადღირებულ მოძველებული ფასონის კარადებს, ბუფეტებს, რომლებიც შესახედავად მეტისმეტად ულაზათოა, დაბალია გაკრიალების ხარისხი.

სამაგიეროდ ამავე ფაბრიკაში ცალკე აწყვია მცირე გაბარიტის ავეჯის გარნიტური, რომელიც მოპირკეთებულია კაკლის ფანერით და დამზადებულია ისეთი ლაზათითა და გემოვნებით, რომ კაცს თვალი ზედ დარჩება. ეს ნიმუშებია. ამიტომ არის ასე ლამაზი და მაღალხარისხოვანი. ამაზე იტყვიან, ერთი ხიდან ბარიც გამოვა და ნიჩაბიეო.

თუ მოინდომეს, ჩვენი რესპუბლიკის ავეჯის საწარმოები ისეთ მაღალხარისხოვან პროდუქციას უშვებენ, რომ რიგის სახელგანთქმულ ავეჯსაც ვერ დაუყენებთ გვერდით. ამაში დაგვეთანხმებიან ყველანი, ვისაც რესპუბლიკის საწარმოებში დამზადებული ავეჯი უნახავთ სხვადასხვა გამოფენაზე, მაშასადამე, ის, რაც სპეციალურია, კეთდება გემოვნებით, მასობრივი მოხმარების ავეჯის ხარისხის გაუმჯობესებისათვის კი თავს არ იწუხებენ.

ამის ნათლად მოწმობს **ქუთაისის** სამრეწველო კომბინატის ავეჯის ფაბრიკის (დირექტორი გ. ხელაძე) მაგალითი. ამ საწარმოს მიერ გამოშვებულ კარადებს, სერვანტებს, საწერ მაგიდებს ბევრი ნაროზული დეფექტი აქვს. ავეჯის ცალკეულ ნაწილებს ხვრელები, ღრეჩოები, აქვს, დაშლილია შეწებული ფანერის ფენები, კოორძებიანი, გაუშალაშინებელი და გაუკრიალებელია ცალკეული დეტალები. ამიტომ იყო, რომ საავჭრო ორგანიზაციებმა უარი თქვეს ამ საწარმოს მიერ დამზადებული 898 არტიკულის 2.100 მანეთად ღირებული ბუფეტ-სერვანტის მიღებაზე. ამავე ფაბრიკის საწყობში ვნახეთ ტანსაცმლის ძვირფასი საკიდი, რომელსაც, რამდენიც უნდა უქარკოტო, ნაკლს ვერ უპოვი, როგორც გამოირკვა, ეს საკიდი სპეციალურად იყო დამზადებული. „პატივსაცემი პიროვნებისათვის", რომლის ვინაობა ფაბრიკის ხელმძღვანელებმა სიფთმლოდ შეინახეს.

მაღალხარისხოვანი ავეჯის გამოშვების კარგი პირობები აქვს აფხაზეთის ასსრ აღგილობრივი მეურნეობის სამინისტროს **სოხუმის** ავეჯის ფაბრიკას (დირექტორი ი. გაბისონია). მაგრამ ჯერჯერობით ამ პირობებს აქ სათანადოდ ვერ იყენებენ, უშვებენ მოძველებული ფასონის ავეჯს, რომელიც გარეგნულად ყურადღებას არ იქცევს. თეთრეულისა და ტანსაცმლის კარადებს, ბუფეტებს, რომლებიც დაფანერებულია წიფლის მასალით, დეფექტები აქვს. მშვიდრად არ არის შეწებებული ფანერის ფენები, მოშლილია საკეტები. საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის ბრძანებით ამ დეფექტების აღმოფხვრამდე სავაჭრო ორგანიზაციებმა შეწყვიტეს **სოხუმის** ავეჯის ფაბრიკის მიერ დამზადებული 2.440 მანეთად ღირებული ტანსაცმლისა და თეთრეულის კარადების და 2.000 მანეთად ღირებული ბუფეტების მიღება.

წარმოების მოცულობის გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში ფაბრიკის კოლექტივს კარგ სამსახურს გაუწევდა ჰიდროავლიკური დასაფანერებელი წნეხი П731А, რომელიც ამჟამად საშენი მასალების კომბინატში დგას, ავეჯის ფაბრიკაში კი ფანერის დაწნეხვას ხელით აწარმოებენ. ამ ძვირფასი დანადგარის გადაცემისათვის, რაც დღევანდელი ტექნიკური პირობებით აუცილებელია ავეჯის წარმოებისათვის, ფაბრიკაში მთელი საქმე შექმნეს, მაგრამ ჯერჯერობით აფხაზეთის ასსრ აღგილობრივი მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელებმა საკითხის გადაჭრისაგან თავს იკავებენ.

საზაფხულო ქურქი და საზამთრო სარაფანი

მკითხველს შეიძლება უცნაურად ეჩვენოს ეს სათაური, მაგრამ ამა კარგად დაუკვირდით, განა ასე არ არის სინამდვილეში, განა საავჭრო ორგანიზაციები ზაფხულში ქურქს არ გვთავაზობენ და ზამთარში სარაფანს?

სამრეწველო საწარმოები პროდუქციას უშვებენ წლის ყოველ დროს, სადავო არ არის ის ფაქტი, რომ ზაფხულის დამდეგს პალტოებს, ქურქებს და ზამთრის სეზონის სხვა საქონელს იშვიათად თუ ვინმე შეიძენს. ასეთ საქონელს თვეების მანძილზე უქმად უჭირავს ადგილი მაღაზიებში, მტვრიანდება, ფუჭდება.

ამ მდგომარეობის აღმოსაფხვრელად აუცილებელია დაუყოვნებლივ მოგვარდეს საქონლის წარმოებისა და საავჭრო ქსელში განაწილების საქმე. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დადგინდეს, ვინ უნდა შეინახოს სეზონური საქონელი: საწარმოებმა, საბითუმო ბაზებმა თუ მაღაზიებმა, რომ მოგვარდეს ამ საქონლით ვაჭრობა მომხმარებლის მოთხოვნილების გადიდების თუ შემცირების შესაბამისად.

ფართო მოხმარების საქონელზე მშრომელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილების რეგულირებაში საავჭრო ორგანიზაციებს ზოგჯერ აშკარად უშლიან ხელს საწარმოები. ჩვენს რესპუბლიკაში რამდენიმე საწარმო ამზადებს ჩემოდნებს. თუ იარლიყებს დავუჯერებთ, ჩემოდნები კარგი უნდა იყოს — პირველი ხარისხისა, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს იარლიყები უსირცხვილოდ ტყუიან. განა შეიძლება პირველი ხარისხით დამაკრო ქუთაისის საგალანტერიო წარმოების მიერ გამოშვებული ჩემოდნები, რომლებსაც უხეში საწარმოო დეფექტები აქვს?

ასევე ვერაგიობარ კრიტიკას ვერ უძლებს **სოხუმის** სამრეწველო კომბინატის მიერ გამოშვებული ჩემოდანი (დირექტორი მ. ხაზალია). ისინი ძალიან ძმიმეა, მზადდება გაუშრობელი მასალისაგან, ამიტომ ხმარების პროცესში იბრიცება, შიგნით გამოკრული აქვს უბრალო ქაღალდი, რომელიც მალე იხეკა.

რესპუბლიკაში ჩემოდნებზე მოთხოვნილებაა, მაგრამ მომხმარებელს სურს შეიძინოს ლამაზი, გამძლე ჩემოდანი და არა ისეთი, როგორსაც აღნიშნული საწარმოები უშვებენ. წელს სავაჭრო ორგანიზაციებს განზრახული ჰქონდათ შემოეტანათ 2 მილიონი მანეთის ჩემოდნები, მაგრამ იმისათვის, რომ როგორმე გასაღებულიყო ჩაწოლილი საქონელი, ეს ნაბიჯი არ გადაუდგამთ.

დიასახლისებმა იციან, რა ძნელი საშოვნია ფანჯრის ფარდები. მაგრამ ფარდაც არის და ფარდაც. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საწარმოებისა და **ვანის** სამრეწველო კომბინატის მიერ დამზადებული ფარდები რომ აჩუქო კაცს, ხელს არ მოპკიდებს, თუმცა ამ უგემოვნოდ მოქსოვილ, დაბალხარისხოვან ფარდებს საკმაოდ სოლიდური ფასი აქვს.

აქვე უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი რამ: მოდელების დამტკიცებაზე, როგორც წესი, დასტურს აძლევენ სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენლები. გასინჯვის დროს, მაგალითად, კაბებს, რომლებიც გულმოდგინედ არის შეკერილი სპეციალურად შერჩეული ქსოვილისაგან, აცვამენ მოხდენილი ტანადობის ქალებს. მათ ტანზე კი ძონძიც ფარჩასავით ბრწყინავს. და აი სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენლები უყოყმანოდ აძლევენ დასტურს მოდელის დამტკიცებაზე. მაგრამ როცა პროდუქციის მასობრივად დამზადებას შეუდგებიან, იცვლება ქსოვილი, ქერვის ხარისხი, და ასეთ კაბით გამოწყობილ ქალს სილამაზესა და ლაზათს უკარგავს.

სწორედ ასეა თბილისის მოდელების სახლში (დირექტორი ს. ფიროსმანაშვილი). საქონლის ხარისხით უკმაყოფილო მომხმარებელი დახედავს იარლიყს, რომელსაც აწერია — თბილისის მოდელების სახლი, I ხარისხი, — და გაოცებას ვერ მალავს: ყველაფერი მინახავს, მაგრამ საკუთარ თავზე რომ პაროდიებს ქმნიდნენ, ამას პირველად ვხედავო.

ტკეპნა ერთ ადგილზე

რესპუბლიკის საავჭრო ქსელში ჩაწოლილი ფართო მოხმარების საქონლის ზენორმატიულმა ნაშთმა რამდენიმე ათეულ მილიონ მანეთს გადააჭარბა. ეს მოწმობს, რომ საქონელი არ იყიდება.

რატომ? იქნებ მომხმარებლის მყიდველობითი უნარი დაქვეითდა?

არა, პირიქით, მოსახლეობის მყიდველობითი უნარი განუხრელად იზრდება, მაღლდება მომხმარებლის გემოვნებაც, პროდუქციის ხარისხი კი, უკეთეს შემთხვევაში, ჯუტად ტკეპნის ერთ ადგილს.

სამრეწველო საწარმოები ათეულ არ აუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს მშრომელთა გემოვნების ამაღლების შესაბამისად, ორამდე ზოგჯერ ამჟარა წუნსაც უშვებენ, მათ შორის ისეთი საწარმოები, რომლებსაც მაღალხარისხოვანი პროდუქციის დამზადების ყველა პირობა აქვთ.

შვიდ თვეში რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებსა და სავაჭრო ქსელში საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ექსპერტიზამ შეამოწმა მრავალი დასახელების დიდძალი ფართო მოხმარების საქონელი, რომლის უმრავლესობა უხეში დეფექტების გამო გადაყვანილია დაბალ ხარისხში ან დაუბრუნია საწარმოს.

ეს პირველ რიგში ეხებათ **თბილისის** ამრეშუმსაქმოს ფაბრიკას, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატს და თბილისის ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკას.

დაბალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებაში ნამდვილი რეკორდები დაამყარეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს № 4, № 5 სატრიკოტაჟო ფაბრიკებმა (დირექტორები ი. ნემსაძე, ა. კორკელია). ამ საწარმოთა მიერ დამზადებული პროდუქცია შემოწმების შედეგად მთლიანად გადაყვანილ იქნა უფრო დაბალ ხარისხში ან დაუბრუნია საწარმოს.

რასაკვირველია, ასეთ პროდუქციას მომხმარებელი არ ეტანება, და იგი თვეობით აწყვია ბაზებში, საწყობებში, მაღაზიებში. დაბალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების ეს საწარმოები არა მარტო მომხმარებლის ინტერესებს ბღალავენ, არამედ ამასთან ძვირე ფინანსურ დაბრკოლებებსაც იქმნიან. საწარმო ხომ მის მიერვე შექმნილი პროდუქციის რეალიზაციით იღებს სახსრებს.

დაბალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების ერთ-ერთი მიზეზია საწარმოთა დაკმაყოფილება და კუსტარულობა, საწარმოთა სპეციალიზაციის განხორციელებაში არსებული ნაკლოვანებები. ამ მხრივ საგულისხმო მაგალითია სოხუმის სატრიკოტაჟო ფაბრიკა (დირექტორი ა. ჯიმაძე), ამ საწარმოს საამქროები მიმოფანტულია მთელ ქალაქში. უფრო მეტიც, № 1 საკსოფ საამქროს თავის მხრივ სამი ტვინსაამქრო აქვს, რომლებიც რამდენიმე კილომეტრით არიან ერთმანეთის დაშორებული. ეს აძნელებს ხელმძღვანელობას და გამოშვებული პროდუქციის ხარისხისადმი კონტროლს. იგივე ითქმის ქუთაისის საკსოფ ფაბრიკაზე (დირექტორი ს. ნინოა).

ამ ფაბრიკებში, რომლებიც საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემაში არიან, ჯერ კიდევ არ განხორციელებულა სპეციალიზაცია. ერთი და იგივე საამქროები ქსოვენ ტრიკოტაჟს, პლუშს, საწოლსაფარებს. სოხუმის სატრიკოტაჟო ფაბრიკის მთავარი ინჟინერი გ. ყიფიანი ცდილობს ეს იმით ახსნას, რომ მომავალში ფაბრიკის სპეციალიზაცია უნდა განხორციელდეს. ამ ფაბრიკის მიერ გამოშვებულ 1284 არტიკულს — ორნამენტულ საწოლსაფარებს შემოწმებით აღმოაჩნდა ნაკლი, კერძოდ, დაბალია შეღებვის ხარისხი. სხვანაირად არც შეიძლებოდა, ფაბრიკის სამღებრო საამქროში პროცესები პრიმიტიულია, მხოლოდ ერთი ქვაბი დგას. ყველა ფერის ძაფს ამ ქვაბში ღებავენ, რაც მოქმედებს ფერების სიმკვეთრეზე. ქვაბები არის, მაგრამ მოხტაჟე არაკენ ზრუნავს.

სამრეწველო საწარმოებს, რომლებიც ფართო მოხმარების საქონელს აწარმოებენ, ზოშაობაში აქვთ ხელშეშლილი მიზეზები — არადამაკმაყოფილებლად მარაგდებიან ნედლეულით, მასალებით, საპირო ტექნიკური მოწყობილობით. მაგრამ მყიდველმა ეს არ იცის. იგი უყურებს საქონელს და ამის მიხედვით მსჯელობს სამრეწველო საწარმოების მუშაობის ავ-კარგზე.

რესპუბლიკაში ფართო მოხმარების წარმოების საქმეში ასეთი სერიოზული ნაკლოვანებანი არ იქნებოდა, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს საქართველოს სსრ აღგილობრივი მეურნეობის სამინისტრო, თბილისის, ქუთაისის საკალაქო საბჭოები, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების აღგილობრივი მეურნეობის სამინისტროები საჭირო ზომებს იღებდნენ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისათვის, ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ზ. ჯამასკიშვილი,
ა. ხუჭუა,
შ. ცირეკიძე.

გორის რაიონის სოფელ ქახვრელის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ფ. მერაბიშვილმა მუშაობა დაიწყო მშობლიური კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმაში. ახალგაზრდა მეფრინველემ წელს ვალდებულება აიღო ბაზარდოს 5 ათასი წიწილა. შვიდი თვის დავალება მან გადაჭარბებით შეასრულა — გაზარდა 8.500 წიწილა.

სურათზე: ფ. მერაბიშვილი.

ფოტო ი. დავითაშვილისა (საქდუსის ფოტოქრონიკა).

გაზეთების ფურცლებზე

კარგი საქმე

ივლისის პლენუმის შემდეგ გაიზარდა ინტერესი და ლტოლვა ტექნიკური პროგრესისადმი, წარმოებაში ტექნიკური სიახლეების დანერგვისადმი. ამ კეთილშობილურ საქმეში თავის სიტყვას ამბობენ ახალგაზრდა სპეციალისტები.

ქიაოურის საქალაქო გაზეთმა „ქიაოურის მაღაროელმა" დაბეჭდა მთელი გვერდი, სადაც ახალგაზრდა სპეციალისტები მოგვითხრობენ თავიანთი საქმიანობაზე.

მარგანეცის ტრესტის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების მთავარი ენერგეტიკოსი, ახალგაზრდა ინჟინერი შ. ნორაძე წერს:

„ჩემი აზრით, კარგი იქნება, თუ გადმოვიღებთ მომმე ნიკოპოლელი მაღაროელების საუკეთესო ტრადიციებს — ნიკოპოლმარგანეცის ტრესტის მაღაროებში უშვებენ პლაკატებს მოწინავეთა გამოცდილების, წარმოების ნოვატორების, რაციონალიზატორების შესახებ. ნუთუ არ შეიძლება ასეთი რამ ჩვენთანაც გაკეთდეს?"

ახალგაზრდა ინჟინერი ქალი ნ. ყიკნაძე, რომელიც ლენინის სახელობის მაღაროში რაციონალიზაცია-გამომგონებლობას ხელმძღვანელობს, წერილში „საჭიროა მეტი მონდომება და ენთუზიაზმი" მოგვითხრობს ახალგაზრდა ინჟინერების შ. მოდებაძისა და ი. ბიწაძის იმ გულმოდგინე შრომაზე, რაც მათ თავიანთი წინადადებების დასანერგავად, ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად გაწიეს. აქვე აღნიშნულია, რომ ახალგაზრდა სპეციალისტები ნ. პაპიძე, ზ. გეწაძე, რ. დევიძე და სხვები ხალისით ეხმარებიან მაღაროელებს წინადადებათა გაფორმება-დანერგვაში.

ზოგჯერ ასეც ხდება: ერთ მაღაროში კარგ წინადადებას დანერგავენ, მაგრამ ამის შესახებ მეორე მაღაროში არაფერი იციან და ძველებურად მუშაობენ. სწორედ ამ საკითხს ეხებიან თავიანთ წერილებში ახალგაზრდა რაციონალიზატორები ინჟინერი ო. კაპანაძე და ტექნიკოსი ე. მიქაბერიძე.

ო. კაპანაძე წერს:

„საჭიროა სხვადასხვა მაღაროს რაციონალიზატორები უფრო ახლოს ვიყოთ ერთმანეთთან, ეწყობოდეს შეხვედრები, თათბირები. ჩვენ არ ვიცით, რა ტექნიკური სიახლეები ინერგება, ვოქვათ, ლენინის სახელობის მაღაროში... რაიმე წინადადებაზე სპეციალისტი ფიქრობს, ენერგიას, დროს ხარჯავს... და თურმე ის, რასაც მან ამდენი უძიოლო ღამე მოახმარა, უკვე სხვისგან არის ნაპოვნი, გაკეთებული. ეს მდგომარეობა შეუწყნარებელია".

ამ გვერდის დაბეჭდვით გაზეთმა კარგი საქმე გააკეთა.

ისტორიულ-პარტიული ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენი

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა გმირული რევოლუციური წარსულისა და პარტიის ისტორიის შესწავლის საკითხებს. ხალხების რევოლუციური ბრძოლებისა და პარტიის გმირული ისტორიის შესწავლას აქვს არა მარტო სამეცნიერო-შემეცნებითი, არამედ დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც.

ამ მხრივ უეჭველად საინტერესოა სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" მიერ ახლახან გამოცემული ლეონ ებანოიძის წიგნი „საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები 1905-1907 წლის რევოლუციის პერიოდში". წიგნი წარმოადგენს პირველ მონოგრაფიულ ნაშრომს, რომელიც ღრმად და საფუძვლიანად აშუქებს საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების მჩქეფარე პოლიტიკურ მუშაობას რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში და უეჭველად მნიშვნელოვანი წვლილია ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში.

ვ. ი. ლენინს რუსეთის პირველი რევოლუციის გამარჯვების ძირითად პირობად მიიჩნევდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი. ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ ლ. ებანოიძის ნაშრომის მთელ მანძილზე ეს საკითხი კვლევის ერთ-ერთ ძირითად საგანს წარმოადგენს. წიგნში თანმიმდევრულად არის გაშუქებული საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირისთვის როგორც რევოლუციის წინა პერიოდში, ისე 1905-1907 წლებში. საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლამ მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური კავშირისათვის შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო. იგი გამოიხატა ქალაქად და სოფლად მშრომელი მასების მძლავრი რევოლუციური მოძრაობით რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში.

წიგნში მოყვანილია მეტად საინტერესო ფაქტიური მასალა იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ხორციელდებოდა პროლეტარიატის ჰეგემონის ლენინური იდეა საქართველოში, რომელიც კიევ უფრო აგრარულ-გლეხურ ქვეყანის წარმოადგენდა, ვიდრე რუსეთი. ეს ფაქტები, სწორად ფიქსაკვნის აკტორი, გარკვევით მიუთითებენ იმ კოლოსალურ პოლიტიკურ-მასობრივ მუშაობაზე, რასაც საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები ეწეოდნენ სოფლად გლეხობაში. საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები, რომ

ოლიმპიური ცეცხლი გიზგიზებს რომში

ხუთი კონტინენტის სპორტსმენთა ზეიმი

რომი, 25 აგვისტო. (საკადესის სპეც. კორ.). დღეს აქ „ოლიმპიკოს“ სტადიონზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა XVII ოლიმპიური ასპარეზობა. ასპარეზობაში მონაწილეობას იღებს 7 ათასი სპორტსმენი ხუთივე კონტინენტის 86 ქვეყნიდან მთელი მსოფლიოს სპორტსმენთა ძმური ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების ნიშნით.



საბჭოთა ოლიმპიელების დღესასწაული გამოწვეული რომში სსრ კავშირის სახელმწიფო ალმის აღმართვით, ოლიმპიური სოფლის მკვიდრთა ზეიმიც იყო. ამ დიდ ცერემონიალზე თავი მოიყარეს სხვადასხვა ქვეყნის სპორტული დელეგაციების წარმომადგენლებმა, რომის მშრომელებმა.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ საბჭოთა ოლიმპიელებს რომში სსრ კავშირის ალმის აღმართვის წინ.

„ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი აღგვაფრთოვანებს“

ამგზოგან საგჭოთა სპორტსმენები

რომი, 24 აგვისტო. (საკადესის სპეც. კორ.). დღეს დიდი სიხარულით შეხვდნენ სპორტსმენები ოლიმპიურ სოფელში ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის წერილს XVII ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილეებისადმი.

როგორც კი ცნობილი გახდა, რომ რომში მიღებულია ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი, ყველა საბჭოთა სპორტსმენი შეიკრიბა ოლიმპიური სოფლის ერთ-ერთ ჩოდანზე.

ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი წაიკითხა საბჭოთა ოლიმპიური დელეგაციის ხელმძღვანელმა ნ. ნ. რომანოვმა. მჭუხარე ტაშით შეხვდნენ ჩვენი სპორტსმენები საბჭოთა მთავრობის მეთაურის გულთბილ წერილს, რომელიც გამსჭვალულია მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობის მეგობრობის იდეებით.

გამოვიდნენ სპორტსმენები ტაისია ჩენჩიკი, ბორის შახლინი და იური ვლასოვი, მწვრთნელები არკადი ლენცი და ევგენი სამსონოვი, რომლებმაც ყველა დამსწრის სახელით გამოთქვეს მადლობის მეხუთრალე გრძნობა საბჭოთა მთავრობისა და პირადად ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ზრუნვისათვის.

სსრ კავშირის რეკორდსმენმა ტაისია ჩენჩიკმა, კერძოდ, თქვა:

— უდიდესი ენთუზიაზმი გამოიწვია ჩვენში, რომის ოლიმპიურ ასპარეზობაზე საბჭოთა კავშირის წარმოგზავნილებში, ნ. ს. ხრუშჩოვის ყურადღებამ, მისალმებ[illegible] [illegible] ჩვენი სპორტსმენის სახელით ვთქვა, რომ მუდამ ვეცდებით, რათა მეგობრობის ოლიმპიური ცეცხლი კიდევ უფრო მძლავრად გიზგიზებდეს მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

მსოფლიო ჩემპიონმა იური ვლასოვმა თქვა: საბჭოთა სპორტის მოყვარულნი, მთელი საბჭოთა ხალხი ჩვენგან მოელოდა მაღალ შედეგებს. ვეცდებით ღირსეულად გამოვატაროთ ოლიმპიურ შეჯიბრებაში საბჭოთა სპორტის სახელი.

საბჭოთა სპორტსმენებმა გადაწყვიტეს საპასუხო წერილი გიუგზავნონ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს. წერილმა, რომელიც წაიკითხა უკანასკნელი ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონმა გენდი შატკოვმა, დამსწრეთა მჭუხარე ტაშით გამოიწვია.

საბჭოთა სპორტსმენები წერილში აღნიშნავენ, რომ ტოდესი სიხარულის გრძნობით შეხვდნენ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის გულითად წერილს XVII ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილეებისადმი.

თქვენი მისალმება, ძვირფასო ნიკიტა სერგის ძევ, რომელიც აღსავსეა მშვიდობისა და კაცობრიობის ბედნიერებისათვის ზრუნვით, ნათქვამია წერილში, აღგვაფრთოვანებს ახალი მოწვევებისათვის სპორტში, სწავლასა და შემოქმედებითს შრომაში ჩვენი მშვენიერი საშობლოს სასახელოდ.

ფუაკე რომში ჩვენ შევიტყვეთ საბჭოთა ადამიანების ახალი შესანიშნავი გმირობა — ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის ტრიუმფი — მძლავრი კოსმოსური ხომალდის გაშვება და დედამიწაზე დაბრუნება.

ეს ისტორიული მოვლენა, ნათქვამია შემდეგ წერილში, ერთხელ კიდევ ცხადყოფს საბჭოთა ადამიანების დიუშრეტელ შესაძლებლობას, რომლებიც სოციალისტური საზოგადოების კეთილმყოფელ პირობებში ცხოვრობენ. ჩვენთან ერთად ეს გამარჯვება ახარებს ჩვენს საზღვარგარეთელ მეგობრებს, მილიონობით იტალიელს, რომლებიც პატივისცემისა და სიმპათიის გულწრფელი გრძნობით გვეპყრობიან ჩვენ, დიდი საბჭოთა კავშირის წარმოგზავნილებს.

ოლიმპიურ სოფელში მოვიდა სსრ კავშირის ელჩი იტალიაში ს. პ. კოზირევი, რომელმაც გულითადად მიულოცა საბჭოთა სპორტსმენებს საზეიმო დღე და წარმატება უსურვა ოლიმპიადაში.

ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელმა ნ. ნ. რომანოვმა საბჭოთა სპორტსმენებს მიულოცა საზეიმო გახსნა ოლიმპიური ასპარეზობისა, რაც 25 აგვისტოს მოხდება, რომელიც ხელს შეუწყობს მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობის მეგობრობის განმტკიცებას.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე

რომი, 24 აგვისტო. (სპეც. კორ.). გუშინ საღამოს აქ დამთავრდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესია.

სესიის მუშაობაში დიდი ადგილი დაიკავა ოლიმპიურ ასპარეზობაში ჩანაკაზმულთა მონაწილეობის საკითხის განხილვამ.

როგორც ცნობილია, ტაივანის სპორტული მოღვაწეები დიდხანს ეძებდნენ ამის უფლებას, რომ ოლიმპიადაში გამოსულიყვნენ როგორც ჩინელი ხალხის წარმომადგენელნი. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა თუმცა უარი უთხრა ამ პრეტენზიაზე, მაგრამ დაამტკიცა ტაივანის ოლიმპიური კომიტეტის სახელწოდება, როგორც „ჩინეთის რესპუბლიკის ოლიმპიური კომიტეტისა“ და ნება დართო ტაივანელ სპორტსმენებს მონაწილეობა მიიღონ ოლიმპიურ ასპარეზობაში როგორც ტაივანის წარმომადგენლებმა.

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ხმის უმეტესობით უარყო წინადადება, რომ რუსული და ესპანური ენები ოლიმპიური ასპარეზობის ოფიციალური ენები ყოფილიყო.

შემდეგ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა განიხილა წინადადება ომის შესახებ, რომ ოლიმპიური ასპარეზობის შეტალდებში მოეწყოს ევროპის კონტინენტის ქვეყნების სპორტსმენთა რეგიონალური საერთაშორისო შეჯიბრება — ევროპის ასპარეზობა (აზიის ასპარეზობის, პანამერიკის ასპარეზობისა და სხვ. ანალოგიით). პირველი ასეთი ასპარეზობა უნდა გაიმართოს მოსკოვში. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანა ამ საკითხზე გადადო ამა წლის 1 სექტემბრამდე.

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გადაწყვიტა მორიგი სესია მოაწყოს 1961 წელს ათენში (რომელზეც გადაწყდება მე-18 ოლიმპიური ასპარეზობის ტოკიოში მოწყობის საბოლოო თარიღის საკითხი), ხოლო მისი შემდგომი სესია — 1962 წელს მოსკოვში.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად კვლავ არჩეულია ე. ბრანდეიჯი.

l'Unità

გუშინ საღამოს რომში

გუშინ საღამოს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია ტელეფონით რომში დაუკავშირდა იტალიის კომუნისტური პარტიის ორგანოს გაზეთ „უნიტას“ რედაქციას. „უნიტას“ სპორტულმა მიმომხილველმა ვ. ბინანკომ შემდეგი განაცხადა:

— **დღეს „ოლიმპიკოს“ სტადიონზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა XVII ოლიმპიური ასპარეზობა. ხალხით სავსე სტადიონის ტრიბუნები მორთული იყო ოლიმპიადის მონაწილე ოთხმოცდაექვსი ქვეყნის სახელმწიფო ალმებით.**

დაიწყო სპორტსმენთა პარადი. სტადიონის მოედანზე, ოლიმპიადის ტრადიციის მიხედვით, პირველი შემოვიდნენ საბერძნეთის სპორტსმენები, მაყურებლები ტრიბუნებიდან მჭუხარე ტაშით და ოვაციებით შეხვდნენ სპორტული დელეგაციების გამოჩენას. თვითეული დელეგაციის წინ მედროშეებს მოჰქონდათ თავიანთი ქვეყნების სახელმწიფო ალმები. სტუმართმოყვარეობის ნიშნად სპორტსმენთა კოლონებს უკან მოჰყვებოდათ მასპინძლები — იტალიის დელეგაცია.

ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილე სპორტსმენებს მიესალმა და ასპარეზობა გახსნა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ბრენდეჯიმ. ზეიმით აღმართა ოლიმპიური ალმა. ბაირში აფრიწდა ათასობით მტრედი.

სტადიონის ბილიკზე მოდის სპორტსმენი, რომელსაც ოლიმპიური ჩიროაღდანი მოაქვს. ოლიმპიური ცეცხლი ტრადიციულად საბერძნეთში დაინთო და ახლა იტალიის დედაქალაქ რომში მოიტანეს. სპორტსმენი ავიდა ტრიბუნაზე და სტადიონზე ჩიროაღდანი აანთო. შეასრულეს ოლიმპიური ჰიმნი. დაიწყო სპორტული ასპარეზობა, რომლის მიზანია მთელი ქვეყნის სპორტსმენებს შორის ძმობისა და მეგობრობის განმტკიცება.

ფიდელ კასტროს გამოსვლა

ჰავანა, 25 აგვისტო. (საკადესი). ჰავანის მშრომელთა სასახლეში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა კუბის ქალთა რევოლუციური ორგანიზაციების გაერთიანებას კუბელ ქალთა ეროვნულ ფედერაციად.

კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა კუბის პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ კუბელ ქალთა ერთიანი ორგანიზაციის შექმნა ხალხის კიდევ ერთი გამარჯვებაა, ახალი დიდი წვლილია მისი ძალების განმტკიცებაში.

ფიდელ კასტრომ თქვა, რომ სამხედრო დამამშვენები, კონტრრევოლუციონერები, რომლებმაც იციან, რომ არ შესწევთ ძალა ხალხის წინააღმდეგ გამოსვლისათვის, ამერიკის იმპერიალიზმზე, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტსა და პენტაგონზე ამყარებენ იმედს, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნა მან, არის ძალები იმისათვის, რომ აწარმოონ ბრძოლა კონტრრევოლუციისა და მისი უცხოელი მფარველების წინააღმდეგ. ეს ძალები არა მარტო კუბის ხალხი და ლათინური ამერიკის ხალხები, არამედ აგრეთვე მთელი მსოფლიოს ხალხები.

როგორც ფიდელ კასტრომ აღნიშნა, კუბელ ხალხს უკვე არ სწამს ამერიკული იმპერიალიზმის ცრუ პროპაგანდა, მისი ყალბი დემოკრატია, მისი თვალთმაქცური სიტყვები სამართლიანობის შესახებ, ეგრეთწოდებულ პანამერიკანიზმი, რომლითაც ამერიკის შეერთებული შტატები ფარავენ რეპრესიების, ლათინური ამერიკის ხალხთა გათელვის ცდების სისტემას.

ჩვენ, განაგრძო პრემიერ-მინისტრმა, კვლავაც ვიქნებით საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრები, რადგან მათ საქმით დაგვიმტკიცეს თავიანთი მეგობრობა, მაშინ როცა ამერიკული იმპერიალიზმი აგრესიულად მოქმედებს ჩვენს წინააღმდეგ, ცდილობს დაგვახრჩოს. ჩვენი ხალხი არის და მუდამ იქნება თავისუფალი ხალხი; მისი მისწრაფება მუდამ იქნება ის, რომ ყველა ხალხი გათავისუფლდეს უღლისაგან. ჩვენ ვაწარმოებთ ჩვენი პროდუქტების გაცვლას იმათთან, ვისაც სურს თავისი პროდუქტების გაცვლა ჩვენსაზე. კუბა უკვე არ არის და არასოდეს არ იქნება ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკის დანამატი.

კუბის მთავრობა ყველაზე მტკიცედ ამერიკის მთელ კონტინენტზე იმიტომ, რომ იგი არის ერთადერთი მთავრობა, რომელმაც შეაიარაღა მუშები და გლეხები. ჩვენ რომ წაგვართვან ჩვენი მონაპოვარი, ჯერ უნდა წაართვან შაშხანა თითოეულ კუბელს. მაგრამ ამისათვის მას სიცოცხლე უნდა მოესპონ.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე

ბელგრადი, 25 აგვისტო. (საკადესი). ბელგრადში ჩამოვიდა ოლიმპიური ასპარეზობის ბოლოს ჩამოსული ბელგრადელი სპორტსმენების ბრიგადა. ბელგრადელ სპორტსმენებს ბელგრადის ბაზარზე ეგებებოდა ათასობით ბელგრადელი. ბელგრადელ სპორტსმენებს ბელგრადის ბაზარზე ეგებებოდა ბელგრადის ოლიმპიადის ბრიგადის ხელმძღვანელი ბ. ბ. ბ.

ჩვენი ინტერვიუ

ნანახი და განცდილი

ერთი თვე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ჩვენი ვოკალურ-ინსტრუმენტული ტრიო პირველად როდი გამოდის უცხოელი მსმენელების წინაშე: გასტროლებზე ვყოფილვართ ინგლისში, შოტლანდიაში, ეგვიპტეში, სირიაში, ბელგიაში, ლუქსემბურგში, ავსტრიაში ახალგაზრდობისა და სტუდენტობის VII მსოფლიო ფესტივალზე, სადაც შეეხვედით და დავუმეგობრდით გამორჩეულ ამერიკელ ზანგ მომღერალს დე საზოგადო მოღვაწეს, საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატს პოლ რობსონს...

ჩვენს საკონცერტო-საგასტროლო მოღვაწეობას მეტად ინტენსიური ხასიათი ჰქონდა: მთელი ერთი თვის განმავლობაში არ დარჩენილა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი, სადაც კონცერტები არ გაგვემართა.

განსაკუთრებით კი გვინდა აღვნიშნოთ ბერლინის ლია საზაფხულო ესტრადაზე გამართული კონცერტი. აქ ჩვენთან ერთად გამოდიოდა ჩვენი ძველი ნაცნობი ვენის ფესტივალიდან — პოლ რობსონი. ამ უზარმაზარ და უკვე ხანში შესულ ადამიანს პირდაპირ ბავშვური უშუალობა და გულითადობა ახასიათებს. მან სიამოვნებით გაიხსენა ვენის ფესტივალზე ჩვენთან ერთად ფოტოსურათის გადაღება, ქართული სუფრირები, კერძოდ, თქვა, რომ ხშირად სწუვს თამბაქოს ჩვენ მიერ ნაჩუქარი ქართული ჩიბუხით.

— საბჭოთა კავშირში ჩემი მომავალი გასტროლების დროს, — თქვა ცნობილმა მომღერალმა, — უსათუოდ ჩამოვალ საქართველოში და თბილისს შემდეგ აუცილებლად გავმართავ კონცერტებს აფხაზეთში, სადაც, როგორც გავიგე, რამდენიმე საუკუნის წინათ აფრიკიდან გადმოსახლებული ჩემი თანამემამულე ზანგები ცხოვრობენ.

ერთ-ერთი კონცერტის დროს ჩვენი ტრიოს სიმღერები მოუსმენიათ ბერლინის რადიოს მუშაკებს და მოსწონებიათ. ისინი ჩვენთან მოვიდნენ და წაგვიყვანეს რადიოსტუდიაში, სადაც ჩვენი ტრიოს შესრულებით ჩაიწერეს შვიდი ქართული ლირიკული სიმღერა, მათ შორის „წყალური და თბილისი“, გოგი ცაბაძის „მინდა გაკოცო“, სულხან ცინცაძის „გამიღიმეთ, ყვავილებო“, შოთა მილორავას „შემირიგდი“, რეზო ლაღიძის „სიმღერა თბილისზე“, ხალხური „სულიკო“ და „ოხ, ტურფავ“. როგორც გვითხრეს, ეს სიმღერები ბერლინის რადიოთი სისტემატიურად იქნება ტრანსლირებული, გამოუშვებენ გრამჩანაწერებსაც.

...კონცერტი გაემართეთ ლაიპციგის VII საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. აქ მნახველები ათვალიერებენ ევროპის, ამერიკის და აზიის მთავარი ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა კავშირის სასოფლო-სამეურნეო ექსპონატებს. ამ გამოფენაზე მოწაწილეობდნენ ადრეთვე გერმანელი და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნების არტისტული კოლექტივები, რომელთა შორის კონკურსი იყო გამართული. ამ კონკურსში ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა და ჩვენდა სასიხარულოდ მიღწეული წარმატებისათვის გამოფენის ადმინისტრაციამ დიდი ოქროს medlით დაგვაჯილდოვა. ასევე სასიხარულო იყო ის, რომ ბერლინის რადიომ პირველად გადასცა ჩვენი ტრიოს შესრულებით ქართული სიმღერები, რომლებსაც გაუკეთდა შესავალი ჩვენი ტრიოს შემოქმედებითი ბიოგრაფიის შესახებ.

ჩვენი გასტროლების უშუალო ინიციატორმა — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საკონცერტო გაერთიანების დირექტორმა დოქტორმა დამერიუსმა მიგვიწვია რესპუბლიკის კულტურის სამინისტროში და განგვიცხადა: მე თქვენი ქართული სიმღერები ძალიან მომეწონა და, რაც მთავარია, ძალიან მოეწონათ გერმანელ მსმენელებსო. ამიტომ უკვე ოფიციალურად მოველაპარაკე სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს და სახელმწიფო საკონცერტო გაერთიანებას „გოსკონცერტის“ პასუხისმგებელ მუშაკებს იმაზე, რომ თქვენი ტრიო ხელმეორედ უნდა მოვიწვიოთ გასტროლებზე ოთხი თვით ბერლინის ვარიეტეს თეატრში. ყველანი თანახმა არიან, მაგრამ მთავარია თქვენი თანხმობა, უარი არ მითხრათო. ჩვენ, რასაკვირველია, დავთანხმდით და დიდი მადლობა გადავუხადეთ. ჩვენი თანხმობის შემდეგ დოქტორმა დამერიუსმა გვითხრა, რომ ბერლინში ჩვენი ტრიოს მომავალი ოთხთვიანი გასტროლების ორგანიზაციასთან დაკავშირებით აგვისტოს დამლევს ჩამოვა საბჭოთა კავშირში.

ასეთია ჩვენი წმინდა პროფესიული საგასტროლო შთაბეჭდილებანი. მაგრამ შეუძლებელია იყო გერმანიაში — ამ უდიდესი მოაზროვნეების, პოეტებისა და კომპოზიტორების ქვეყანაში და არ დაათვალიერო მისი ისტორიული და სხვა ღირსშესანიშნავი ადგილები.

მართალია, ძალიან დატვირთული ვიყავით (ერთი თვის განმავლობაში 26 გერმანულ ქალაქში 30 კონცერტი გავმართეთ), მაგრამ ქვეყნის გაცნობისათვისაც ვპოულობდით დროს, რომელ ერთზე მოგითხრათ: მაინის მთელ მსოფლიოში სახელგანთქმულ ფაიფურზე, მდინარე ელბაზე ნავებით სეირნობაზე, თუ ჰარცის მთებში ქვისაგან გამოკვეთილ ცხენის ნაზე, რომელთანაც დაკავშირებულია ულამაზესი ქალიშვილის — ბრუნჰილდას და შეყვარებული რაინდის რომანტიკული ლეგენდა...

მაგრამ განსაკუთრებით გვინდა შევჩერდეთ ორ ადგილზე, ორ საპრისპირო, კონტრასტულ სიმბოლოზე: ვაიმარსა და ბუხენვალდზე... ვაიმარზე... გოეტეს, შილერის, ლისტის საყვარელ ქალაქზე... დიდი ლიტერატურისა და მუსიკის სიმბოლოზე... და შემზარავ ბუხენვალდზე — კრემატორუმში დამწვარ ადამიანებზე, ამ საკონცენტრაციო ბანაკის ობერ-ჯალათის კოხის მუეულეზე. რომელსაც ძლიერ ჰყვარებია დავრდომილ ტყვეებს შორის თეთრ ცხენზე ჯირითი და მთორახით მათი ცემა... ბუხენვალდი გვაცნობს ფაშისტი ურჩხულის ჯოჯოხეთურ ბოროტებას.

ჩვენი ერთი თვის გასტროლები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დამთავრდა. ბუნებრივია, ძლიერ მოხარული ვართ, რომ გასტროლები წარმატებით ჩატარდა.

მაგრამ მიღწეულით როდი ვკმაყოფილდებით. წინ გველის დაძაბული და ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობა: ჯერ ერთი, ამ უახლოეს დღეებში ქართული ესტრადის მსახიობებთან ერთად ახალი საკონცერტო პროგრამით შემოვიარეთ თითქმის მთელ საქართველოს; ხოლო ერთ თვეში, ხანგრძლივი ვადით გასტროლებზე გავემგზავრებით პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტალური ტრიოს წევრები:

მარიხ გოძიაშვილი,
სახ. სხრ დამსახურებული არტისტი,
კოტე მაკარიძე,
ამირან ებრალიძე.

* * *

სურათებზე: 1. ფოტოპირი ოქროს medlისა, რომელიც ტრიომ მიიღო ლაიპციგის VII საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გამართულ კონკურსზე მიღწეული წარმატებისათვის. 2. საბჭოთა მსახიობები (მარცხნიდან) ვ. ვიბორნოვი, კ. მაკარიძე, მ. გოძიაშვილი, ა. ებრალიძე და ვ. ივანტეევა ქალაქ მაიზენში.

უეცარი აცივება საქართველოში

ამ დღეებში რედაქციაში შემოვიდა მშრომელთა მრავალი წერილი. ავტორები გვეკითხებიან თუ რამ გამოიწვია ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამინდის მკვეთრი ცვლილება. ვაქვეყნებთ წერილს ამ საკითხზე.

აბგვისტოს მესამე დეკადის დასაწყისი საქართველოში თბილი და მშრალი ამინდებით ხასიათდებოდა. ზაფხულის სიცხე განსაკუთრებით 22 აგვისტოს დღისით იგრძნობოდა, როცა მაქსიმალურმა ტემპერატურამ დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში 36 გრადუსს გადააჭარბა, თბილისში ამ დღეს 33 გრადუსი იყო.

22 აგვისტოს საღამოდან მოხდა ამინდის პირობების მკვეთრი ცვლილება. რამ გამოიწვია ეს პროცესი? ამ დროისთვის მთელი კავკასიის ტერიტორია მოთავსებული იყო დაბალი წნევის არეში — ციკლონურ არეში, რომლის ცენტრი ირანზე მდებარეობდა. ციკლონის გავლენით ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა სამხრეთიდან თბილი ტროპიკული ჰაერის მასების გადმოტანას. ამავე დროს სამხრეთ-დასავლეთ ევროპაზე ვრცელდებოდა ანტიციკლონი, რომლის ცენტრი მდებარეობდა იტალიაზე. ამ ანტიციკლონის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ადგილი ჰქონდა ცივი ჰაერის მასების გადმოტანას საბჭოთა კავშირის დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ ტერიტორიაზე. ატმოსფეროს მაღალ ფენებში ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიის მახლობლად წარმოიშვა ცივი ჰაერის მძლავრი კერა, რაც დედამიწამდე აღწევდა და ვრცელდებოდა აღმოსავლეთისაკენ. 22 აგვისტოს საღამოს ზემოთ აღნიშნული ანტიციკლონის გავლენით სწორედ ეს ჰაერი შემოიჭრა დასავლეთ საქართველოში. ერთდროულად სამხრეთიდან თბილი ჰაერის გადმოტანამ და დასავლეთიდან ცივი ნოტიო ჰაერის შემოჭრამ განაპირობა ჰაერის ინტენსიური აღმავალი დინება. ამან გამოიწვია ღრუბლების წარმოშობა და უხვი წვიმები დასავლეთ საქართველოში. ცივი ჰაერის უეცარმა შემოჭრამ გამოიწვია მძაფრი აცივება მთელ დასავლეთ საქართველოში და აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რაიონებში. 23 აგვისტოს დღის ტემპერატურა აქ 20-22 გრადუსამდე დაეცა, ხოლო 24 აგვისტოს კიდევ უფრო ნაკლები, 17-20 გრადუსი იყო.

ანტიციკლონის გავრცელებამ შავ ზღვაზე გამოიწვია ატმოსფერული წნევის ზრდა დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო რაიონებში, ხოლო ცალკეულ ადგილებში ეს ზრდა ძალიან ძლიერი იყო. ეს ფაქტორი, ანტიციკლონის ცენტრალური ადგილმდებარეობა, ასევე ანტიციკლონის ფართო ფენა, ანტიციკლონის ნელი გადაადგილება — ეს ყველაფერი ხელს უწყობს ამინდის ხანგრძლივ სტაბილურობას.



სურათზე: თბილისის ამინდის ბიუროს ინჟინერ-სინოპტიკოსი რ. დუმანიანი გადასცემს ამინდის პროგნოზს. ფოტო ო. არობელიძისა.

მიხვეულ-მოხვეული გზაზე მანქანით მიმავალი მგზავრი ჯერ კიდევ მთაწმინდის მისადგომ ე ბ თ ა ნ გრძნობს მთის სუფთა ჰაერისა და მზის ულტრაიისფერი სხივების ძალას. სუნთქვა უადვილდება და ენერგია ემატება. თბილისის სამხრეთ-დასავლეთით მეოცე კილომეტრზე კი თვალწინ გადაეშლება მთებს შუა მარგალიტის თვალივით ჩამჯდარი დაბა.

კოჯრის მიწაზე ფეხის დადგმისთანავე ერთი აზრი გეუფლებათ: ეს დაბა — ნორჩი თაობის თავშესაყარი — ბავშვების სიცოცხლის, სიხარულისა და ბედნიერების წყაროა. და რამდენი ასეთი თვალწარტაცი მიდამოა ჩვენს ქვეყანაში, სადაც მილიონობით ბავშვი ისვენებს და ჯანსაღდება!

ფერდობზე შეფენილ ბანაკში ერთმანეთის მიჯრით დგანან ლამაზად ნაგები საცხოვრებელი სახლები და სხვა ნაგებობანი. ბანაკის ტერიტორია, რომელიც 3 ჰექტარს აღემატება, დაფარულია ნარგავებით. ფართოდ გაშლილი ტოტები ცაცხვს, იფანს, ჭადარს...

დილიდან დაღამებამდე ჩქეფს სისხლსავსე ცხოვრება ბანაკში. ამობრწყინდება თუ არა მზის ოქროსფერი სხივები, მიდამოს აღვიძებს საყვირის ხმა. ეს ბანაკის ახალი სასიხარულო დღის დაწყების ნიშანია. ამ ხმაზე 200-ზე მეტი პიონერი ფიცხლავ წამოხტება საწოლებიდან, სასწრაფოდ იბანს პირს და იწყებს დილის გამამხნევებელ ვარჯიშს.

უკან დარჩა საბანაკო ცხოვრების ორი თვე. პიონერთა ორმა ნაკადმა გაატარა აქ ზაფხული და მესამე ნაკადი მოვიდა. ბევრი მარადსახსოვარი მოგონება გაჰყვათ აქ გატარებულ დღეებზე პიონერებს.

ბანაკში ყველაფერი მოსწავლეთა არდადეგების შინაარსიანად მოწყობას ემსახურება: სპარტაკიადებიც და პიონერული კოცონებიც, სხვადასხვა წრეებიც და ლაშქრობებიც, საკარნავალო საღამოებიც და გართობა-თამაშობაც, კინო-სეანსებიც და ექსკურსიებიც.

„ნორჩი ტექნიკოსის“ წრეში პიონერთა მრავალ ნახელავს იხილავთ. ნატურალისტთა წრეში გაერთიანებული ბავშვები გულდასმით აკვირდებიან მცენარეთა ზრდა-განვითარებას, თვალსა ხელით აგროვებენ ყვავილებსა და ფოთლებს, ეკერენ მწერებს. ჭრა-კერვის წრეში ხელმარჯვე გოგონები — მომავალი დიასახლისები გაერთიანებულან.

ავერ პიონერთა ოთახში საჭადრაკო ტურნირი მიმდინარეობს. ერთი ცეროდენა ბიჭუნა გამალებით უტევს თავისი უფროსი პარტნიორის მეფეს. იქით შაშს თამაშობენ, აქეთ სხვა რამით ერთობიან. სიმღერისა და ცეკვის წრეში პიონერებმა ბევრი საუკეთესო სიმღერა და ცეკვა შეისწავლეს.

შრომითი ჩვევების დანერგვა: პედაგოგიური კოლექტივის ყურადღების ცენტრშია. ამას წინათ პიონერები დაეხმარნენ ტაბახმელელ კოლმეურნეებს სმინდის ნათესების მოვლაში. ბანაკს აქვს საკარმიდამო ნაკვეთი, რომელსაც პიონერები მზრუნველობას არ აკლებენ.

სამგორის რაიონში ბევრი ისტორიული ძეგლია. ამ სიკეთეს კარგად იყენებენ პიონერები, რომლებიც საინტერესო ექსკურსიებსა და ლაშქრობებს აწყობენ. პიონერები მდიდარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ „ქართლის ცხოვრების“, „ნიშნის მთიდან“, „უძოდან“, ბეთანიიდან.

პიონერებს იზიდავს საინტერესო საუბრები, რომლებსაც აქ სისტემატიურად მართავენ. საუბრები ეხება ჩვენი სამშობლოს მიღწევებს და საერთაშორისო მდგომარეობის ამბებს, ხალხთა მეგობრობას და დიად შვიდწლედს, პიონერთა ცხოვრებასა და მგზრობას.

ბანაკში ბევრი მოწონებული და პირნერია. მაგრამ მთგან მაინც გამოირჩევიან I და IV რაზმეულები. ენერგიულად მუშაობენ უფროსი პიონერხელმძღვანელი ჯ. ჯაფუაძე და პიონერხელმძღვანელი ქ. რაინაული.

ბანაკის ხელმძღვანელობა (უფროსი ა. ქოროღლიშვილი) ძალას არ ზოგავს იმისათვის, რათა პიონერებს დასვენებისა და გაჯანსაღების საუკეთესო პირობები შეუქმნას.

შინაარსიანად ატარებენ ზაფხულს კოჯორში სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა შვილები.

ბ. ლუარსაბიძე.

ბანაკი ცაცხვების ჩრდილქვეშ

ბავშვთა ბანაკი ... ...